# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწ ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**№ 31**
წელიწადი მეორე
— 1913 —

**პარასკევი, 8 თებერვ.**

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში,** ივანოვის ქუჩაზე, **ვ. ი. ჭილაძის** სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



ა ბ ა, მ ო ს წ ი ე თ პ ა პ ი რ ო ზ ი

15 ცალი 6 კ. **„ა ნ ი“** 25 ცალი 2 შაური

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

ა ბ ა, მ ო ს წ ი ე თ პ ა პ ი რ ო ზ ი

20 ცალი 1 შაური **„ბელაია რომაშკა“** 20 ცალი 1 შაური

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.


## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **ი მ ე რ ე თ ი** წელიწადი მეორე 1913

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 3 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძიებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Василію М. Челидзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ამა მდგომარე თებერვალის 6 რიცხვს ხანგრძლივი ავათმყოფობას: შემდეგ გარდაიცვალა

**ალექსანდრა** ლაზარე ოდიშარიას ასული **საყვარელიძისა,**

რასაც აუწყებენ ულრმესს მწუხარებასა შინა მყოფნი: მეუღლე მისი კანცელიკე ალექსანდრეს ძე, მაზლი—ამბერკი ალექსანდრესძე და რძალი ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძეები. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, ხოლო ცხედარის ბინიდან გამოსვენება ამა თებერვალის 10 რიცხვს, დილით კვირას დ. ზესთაფონში.

## ქართული თეატრი

ბ ე ნ ე ფ ი ს ი ნ ი კ ო გ ვ ა რ ა ძ ი ს ა.

შაბათს, 9 თებერვალს წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე პიესა ვემერისა და ბარესისა

**ჰანსიონის კედლებთა შორის**

მოწაფეთა ცხოვრ. 4 მ. თარგ. სანდალიძისა და იმედაშვილისა
ადგილების ფასი საბენეფისოა ✦ დასაწყისი 8 საათზე ✦ ადმინისტრ. გ. ურუშაძე.

## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა).

## განცხადება.

**დ. სამტრედიაში** სადგურიდან დასახლოებით ერთ ვერსზე იყიდება სამოსახლო ადგილი, გლედიჩით და აკაციით შემობილი, ზომით ათი ქცევა. ორი მხრით უვლის მთავარი გზა, ერთი მხრით ჩაუდის მდინარე.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სამტრედიაშივე არჩილ ლ. ლეჟავას.

## განცხადება.

ქუთათური წიგნების გამომცემელი

## ამხანაგობა

ახლო მომავალში **გამოსცემს** საყმაწვილო და ახალგაზდა მწერალთა კრებულს, ამიტომ სთხოვს ავტორებს გამოუგზავნონ მას **ორიგინალური** თხზულებები (ჰონორარს მიიღებენ) შემდეგის მისამართით: **ქ. ქუთაისი**, ორპირის პირველი გადასახვევი, ბახტაძის სახლი, ამხანაგობის მდივანს ბიკტორ ასათიანს.

**ექიმი** ვ. ი. **ფიფინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. გალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

გამოც-დილი **მასწავლებლები**

**ამზადებენ** ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი „იმერეთის“ რედაქციაში.

## ექიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თოსელიანის სახლი.



## იულიუს სარაჯ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

**ი ვ ა ი. ნ.**

**უფრთხილდით მიმსგავსებას**

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.

**პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი“ ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.**

## დ ღ ი უ რ ი

— გაზეთი „როსიის“ განცხადება, რომ რუსეთი პირადი გამორჩენის სურვილით არ მოქმედობს ბალკანეთის საქმეში, ავსტრიის პრესამ სასაცილოთ აიღო.

— ოსმალები გრძნობენ, რომ მათი საქმე ცუდათაა. გალიპოლში, სკუტარში და იანინაში დამარცხებას მოელიან.

— ადრიანოპოლში მყოფმა ოსმალეთის ჯარის უფროსმა შუქრი-ფაშამ გამოაცხადა: ერთი ტყვიაც, რომ დამრჩეს,

ბრძოლას განვა[illegible] დი ქალაქს დ[illegible]

— გერმა[illegible] სწერენ—[illegible] ლებში მხეცობას სჩადიანო. [illegible] იმეორებს რუსული სოციალ-დემოკრატიული პრესა. „რეჩის“ კორესპონდენტი უარყოფს,—ასეთი არაფერი ხდებაო.

— ხაკი-ფაშა, რომელიც პარიზსა და ლონდონს იყო, რომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება განეახლებია, ვერაფერს გახდა.

— სოფიოდან ცნობაა—ბულგარეთი სილისტრიასა და ბალჩიკს რუმინიას არასდროს არ დაუთმობსო.

— კურლიანდიის გუბერნატორმა აქაურ გაზეთებს სთხოვა. დაამშვიდეთ ხალხი, უთხარით, რომ ომი არ მოხდება და დაარწმუნეთ, რომ მობილიზაცია ომის გამო არ გამოგვიცხადებია.

— ვაჭრობა—მრეწველობის მინისტრს მუშათა წარმომადგენლები წარუდგენ. სთხოვეს—ნება მოგვეცით—მუშათა დაზღვევის კანონ-პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მივიღოთო. მინისტრმა უპასუხა:—პირადათ ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ კანონი ნებას არ მაძლევსო.

— სახლხო განათლების მინისტრმა საშვალო შკოლის დირექტორებს ვიტმერის გიმნაზიიდან დათხოვნილი 34 მოწაფის სახელი და გვარი აცნობა. ესენი შკოლაში არ მიიღოთო.

— კადეტების კონფერენციამ დაადგინა—წამოაყენოს შემდეგი ლოზუნგები: საარჩევნო უფლების დემოკრატიზაცია, სახელმწიფო საბჭოს რეფორმა და პასუხის მგებელი სამინისტრო.

— მექსიკოს პრეზიდენტი მადერო და მისი მინისტრები დაატუსაღეს და დროებითი პრეზიდენტათ უერტო გამოაცხადეს.

## ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

დღეს შავიქვის საბჭოს ბინაზე დანიშნულია ქალთა წრის ჩვეულებრივი კრება. ექიმი გ. ბადრიძე ისაუბრებს ქალთათვის ფრიად საგულისხმო საგანზე—ძუძუთა ბავშის აღზრდის შესახებ. რო-

გორც გადმოგვცეს წრის გამგეობას გადაუწყვეტია—პრესის წარმომადგენელნი დაესწრონ ამ კრებაზე; მაგრამ ის კი არ ვიცით, ეს პრესის წარმომადგენელნი ქალთა წრის კრებაზე მაშინ დაესწრებიან, როცა მამაკაცი საუბრობს რაიმე საგანზე, თუ იმ შემთხვევაშიც, როცა ქალიც კითხულობს ამა თუ იმ საგანზე რეფერატს.

✦ კარგსა და მოთფო ორ-სამ დღეს შემდეგ, ისევ აცივდა და თოვლიც დასდვა.

✦ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ მდ. მტკვარში სადგ. ქარელთან ერთ გლეხს ლუზა უნახავს. ეს ლუზა „სახ. გაზ". სურათ. დამატ. იყო დახატული. ფიქრობენ—ეს ლუზა იმ დროინდელი უნდა იყოს, როცა ამ ადგილამდი მდ. მტკვრით გემები ადიოდნენ. ამ ორიოდე წლის წინათ ასეთივე ლუზა სოფ. ეკის (ოდიში) ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოშიც უნახავთ. როგორც ადგილობრივმა ღვდელმა მ. გაგუამ გადმოგვცა, ეს ლუზა მდ. ტეხურიდან ამოუტანია ერის თავადს. ლუზა სიმაღლით ორი ადლია, ოთხკავიანი. ძლიერ კარგს იზებენ, თუ ამ ლუზას ქუთაისში ახლად დაარსებულ საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოებას შემოწირავენ.

✦ ქუთაისში ჩამოვიდენ თფილისის გუბერნ. წინამძღოლის თანამდ. აღმასრულებელი თ. პავ. თუმანიშვილი და თ. გრ. დიასამიძე. ამათ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან დეპუტატთა საკრებულოში სხვადასხვა სადღეისო საკითხების თაობაზე თათბირი ქონდათ.

✦ „მერცხლის" უკანასკნელ ნუმერში ცნობაა იმის თაობაზე, რომ ამასწინათ დათხოვილ ქალაქის სკოლების მასწავლებელთ ა. ოდიშარიასა და ლ. ნაცვლიშვილს ადგილები ისევ დაუბრუნესო. ეს ამბავი ნაადრევია და, როგორც გავიგეთ, ჯერჯერობით ამის თაობაზე გადაჭრილი განკარგულება არ მოსულა.

✦ ვლ. ალ.-მესხიშვილის იუბილეს დღე მოახლოვდა. თფილისი ზეგ, კვირას იხდის ამ დღესასწაულს. მზადება დიდია. სხვათა შორის საიუბილეო კომიტეტი აცხადებს, რომ იუბილარისადმი მისალოცი სიტყვები განსაზღვრულია 5 წამით. ვისაც სურს ვლ. მესხიშვილის საიუბილეო დღესასწაულის მილოცვა და ადრესების მირთმევა, უნდა ჩაეწერონ ქართ. დრ. საზ. კანტორაში. განცხადება მიიღება 9 თებერვლის ნაშუადღევის 2 საათამდი. დეპუტატები აქვე მიიღებენ თეატრში შესასვლელ კონტრამარკებს.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭომ წ. კ. საზოგადოების ქიათურის განყოფილებას 40,000 მანეთი გასანაწილებელი თანხა გადასცა. განყოფილებას განზრახვა აქვს ი. ევდოშვილის მოთხრობების გამოცემა. ამ მიზნით განყოფილების გამგეობას ი. ევდოშვილთან მოლაპარაკება გაუმართავს.

✦ ფოთის ტრამვაის მუშებმა ქუთაისის გუბერნატორს სთხოვეს ჩვენი მდგომარეობა აუტანელია, და გთხოვთ შემწეობასო. ტრამვაის მუშები დღეში 17 საათს მუშაობენ თურმე.

✦ „დილი" რედაკტორმა ი. რუხაძემ, რომელიც წარსულ ხანებში გათავისუფლეს ციხიდან გუბერნატორთან განცხადება შეიტანა, რომ თებერვლიდან ისევ გამოვცემ გაზეთსო.

✦ გამოვიდა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარის მე-12 ნუმერი, სადაც მოთავსებულია ნამესტნიკის წინადადება ოლქის მზრუნველისადმი სწავლა-აღზრდის შესახებ.

✦ წასულ წელს ოლქის სასამართლოში ნაფიცმა ვექილმა ს. ამირაჯიბმა კერძო ვექილს ვ. ლორთქიფანიძეს ხელით შეურაცხყოფა მიაყენა. ეს საქმე ჯერ სასამართლოს გადაეცა, მაგრამ შემდეგ მორიგდნენ. ახლა ვინმე შარაძეს კვლავ აღუძრავს საჩივარი: ჩემი საქმის ვექილს შეურაცხყოფა მიაყენესო.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭომ ქიათურაში ხაზინისათვის დიდი შენობა ააგო. ეს შენობა აკურთხეს უკვე. კურთხევას ქუთაისის სახაზინო პალატის გამგე და იქაურ დაწესებულებათა წარმომადგენლები დაესწრნენ.

✦ რომანოვების გვარის 300 წ. დღესასწაულის დროს სახელმწ. სათათბირ. დეპუტატებს მხოლოდ ყაზანის საკრებულო ეკლესიაში შეუშვებენო. სადღესასწაულო ნადიმზე და მარინსკ თეატრში ამათ არ მიიწვევენ.

✦ სენატორ ა. ნიკოლსკის მინისტრთა საბჭოში კავკასიაში სასოფლო მართვა-გამგეობის შესახებ ახალი პროექტი შეაქვს. პროექტის ძალით მაზრის უფროსობის და მომრიგებელ შუამავლის თანამდებობა გაუქმდება. იმ რაიონს, რომელშიც 45 ათასი მცხოვრები იქნება რაიონის უფროსათ ინჟინერ-ჰიდრავლიკი უნდა იქნეს. რაიონის უფროსებს ნამესტნიკი დანიშნავს, სოფლის ადმინისტრაცია სასოფლო სამართველოს ექნება დაკისრებული.

✦ 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან 500 გამორიცხულ სტუდენტთა რიცხვიდან 57 გარდა ყველა მიიღეს. მოსკოვის უნივერსიტეტში სამას სტუდენტისაგან 260 მიიღეს. ტომსკის უნივერსიტეტში 200 მიიღეს და ასი არ მიუღიათ. იმ სტუდენტებს, რომელნიც არ მიიღეს, თუ თხოვნა აქვთ გაგზავნილი რომანოვების გვარის 300 წ. დღესასწაულის დროს ამნისტია გამოიცემა და მიიღებენო.

✦ საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ შრომის ჯგუფს სათათბიროში კანონ-პროექტი შეუტანია. პროექტის ძალით განურჩევლათ სქესისა სარწმუნოებისა და რწმენისა ყველა სრულწლოვანს უნდა მიეცეს საარჩევნო ხმა.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს არა რუსთა სკოლების შესახებ კანონები გადაუთვალიერებია. სამინისტროში თურმე ბევრი თხოვნა და შუამდგომლობა მიდის რომ 1907 წ. 1 ნოემბრის კანონი არა რუსთა სკოლაში სამშობლო ენის სწავლების შესახებ შეიცვალოს. წარსულ წელს დირექტორ-ინსპექტორებსა და ოლქის მზრუნველების კრებას ამ საგნის შესახებ პროექტი შეუმუშავებია. პროექტის ძალით ქალაქის სპეციალურ სკოლებში სწავლა პირველ ორ წელიწადს სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, ხოლო რუსულის სწავლება პირველ წლიდან უნდა იწყებოდეს. მასწავლებლებათ უნდა ინიშნებოდეს იმ ტომის ხალხი, რომლის შვილებიც სხვა ტომის ხალხს სჯარბობს. ეს პროექტი დეკემბრის ბოლო რიცხვებში სახალხო განათლების მინისტრმა უკვე განიხილა. პროექტი მინისტრს მოუწონეია და განსახილველათ მინისტრთა საბჭოსათვის გადაუცია.

### ტფილისი.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს, შუამდგომლობა აღძრას მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რათა ყოველწლიურათ საზოგადოების განკარგულებაში 1,200 მან. გადასდვას. ამ ფულით საზოგადოების სასტატისტიკო ბიურომ თავის კორესპონდენტის საშუალებით წელიწადში სამჯერ ცნობები უნდა შეკრიბოს ხოლმე მებაღეობის შესახებ.

მებაღეობის შესახებ ცნობების შესაკრებათ ბიურო არსდება აგრეთვე მიწათ მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის კანცელარიასთან. ამ ბიურომ სხვათა შორის, დეპეშებით უნდა აცნობოს ხოლმე კავკასიის მებაღეთა ხილის ფასები მოსკოვისა, ლოძისა და სხვა ქალაქების ბაზრებზე.

✦ აგრონომთა რიცხვი წელს ჩვენში გაადიდეს: მოუმატეს 50-დე კაცი. მთავრობის აგრონომთა შტატის გარდა წელს დაარსდა საერობო სააგრონომიო ორგანიზაცია. აგრონომთა მომავალ მოქმედების შესამუშავებლათ ამ თვეში თფილისში საგანგებო თათბირი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი: მიწათ მოქმედების დეპარტამენტისა. კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციისა და თფ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. („ს. გ.")

## მოწერილი ამბავი

**დ. ცაგერი (ლეჩხუმი).**

წარსული წლის ბოლო თვეში აქ ქალთა წრე დაარსეს. წრემ სხვათა შორის სასარგებლო საქმე—ღარიბ მოწაფეთა დახმარება დაისახა მიზნათ. სამს მოწაფეს დაეხმარა კიდეც და გვეგონა წრე ამ ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ის უკვე დაიხურა, აღარ არსებობს,

**ს. ამაღლება (ქვემო იმერეთი).**

ამაღლების საზოგადოება სამი სოფლისაგან შესდგება, ამ საზოგადოებაში 2 თებერვლიდან წვრ. კრ. საზოგადოება გაიხსნა საზოგადოების თანამდებობის პირთა არჩევანი უკვე მოხდა.

**ბაღდადი (ქვემო იმერეთი).**

აქაური სკოლიდან 81 წლის სასწავლო პლანი განდევნილია. რუსულის სწავლებას პირველი წლის პირველ ნახევრიდან აწყებინებენ. სამწუხაროა, რომ ამგვარი უკუღმართობას ქართველი მასწავლებლები იოლათ ეგუებიან.

**ს. სხვავა (რაჭა).**

ამ სოფელში ორი წელიწადია, რაც სამინისტრო სკოლა არსებობს. სკოლაში გლეხის ბავშვებს სწავლის ფულს არ ახდევინებენ, ხოლო თავად-აზნაურთა შვილები ორ მანეთ ნახევრიდან ხუთ მანეთამდი იხდიდენ. რაც სკოლის გამგეთ ბ. ქუთელია დაინიშნა, მას შემდეგ სწავლის ფულმა 8 მანეთამდი აიწია, რაც ჩვენისთვის გაუგებარი რჩება.

## სტუდენტის აღსარება.

ჩემი თავის—ცოტათ თუ ბევრათ—შეგნება მეოთხე თუ მეხუთე კლასში დაიწყო. მახსოვს, რა წმინდა და დიდ ვალ დებულებათ ვრაცხდი მაშინ მოწაფეთა ერთ იმ წრის კრებებზე დასწრებას, რომელიც იმართებოდა ხოლმე აწ უკვე განსვენებულის, ყველასაგან ცნობილის დემურიას ცოლის ბინაზე. აქ, ამ კრებებზე ვისვენებდით სულით, აქ ვკითხულობდით ჩვენი მწერლების ნაწარმოებს, ვბაასობდით, ვმსჯელობდით, ერთმანეთს ვეცნობოდით. აქვე პირველათ გავეცანი ჩვენებურ ქველ-მოქმედებას. იმ დროს ჩვენი სახელოვანი მსახიობი ლადო მესხიშვილი საზღვარ-გარეთ იყო საჰქიმოთ წასული და მარიამის ჩაგონებით და ტკბილი ენით აგზნებულნი სიამოვნებით ვაგროვებდით ხოლმე ლადოს სასარგებლოთ თითო ოროლა შაურს... ყველას ერთი საზოგადო მიზანი, საერთო ინტერესი გვაკავშირებდა. უბრალო სალამი უბრალო ხელის ჩამორთმევა რაა-ისიც ერთის გულის ნადებს მეორეს გვამცნევდა... მიყვარდა ხოლმე იქ სიარული და სიამოვნებას ჩემსას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც წარმოვიდგენდი, რომ იქ, უნივერსიტეტში რო შევალთ, უფრო განმტკიცდება და გაიზდება საზოგადოთ ამხანაგური გრძნობა, მუშაობის სურვილი, საერთო მიზანი და მისწრაფება... უნივერსიტეტი და სტუდენტი მე რაღაც სიწმინდისა და დიდების სიმბოლოთ მიმაჩნდა... თუ ოდესმე სადმე მომიხდებოდა სტუდენტის ქუდის ხურვა—მაშინვე სარკეს მივაშურებ მინდოდა მენახა, როგორ დამშვენ ჩემ სახეს ეს „დიდი კაცის ქუდი" გვიჩნი"... მინდოდა, სული მეღლიო გრძნობა მალე გავმხდარიყო[?] მეხილა წმინდა ტაძარი, მეცნიერების ნარის სათავე, რათა დავსწაფებოდი წყალს და სხეული ჩემი—ერთი გმირისა არ იყოს—მტრის ისრის უხლებელი გამხდარიყო... ეს სურ მიორკეცებდა სწავლის უნარს და შეუზარებლათ ჩავჩიჩინებდი ციცერ და ოვიდის, ალგებრასა და გეომე ას..

ეს ის დრო იყო, როდესაც რუ „გამათავისუფლებელი დღენი" ჯერ დევ არ დამდგარიყო... მხოლოდ მ ული გუგუნი მოისმოდა... ასეთი გუ ნი მიწის ძირას უძლევს ხოლმე წინ... გაუვლია ისეთ წელს, რომ ეს გუ ჩვენშიც შემოიჭრა... ყველა შემ ყველა გარეთ გამოვარდა... ვიდ მაშინ სამაცადინოთ!.. გავაგდეთ დან წიგნები და ჩვენც ფეხის ხმა ვით, ქუჩებში გამართულ კრებებს წყეთ სიარული... ყველას „საქმის კეთების სურვილი გვქონდა, ყველა ტორობა გვწადდა... ეს იყო მაშინ დროის სატრფიალო საგანი... ვინ რებდა იმას, რომ ამისათვის დიდ ქკუაა საჭირო, რომ ღრმა და მომზადებაა აუცილებელი!.. ვიმე მაშინ დიდი წიგნებისა და ენციკ დიისათვის აღარავის ეცალა... სურ დაკმაყოფილება კი ორ კაპიკიან ბრ ურებითაც შევსძელით: ამოვიკითხ ორ სამ სადღეისო აზრს, სამიოდე და ფრთოსან ფრაზას და... მორჩა, საჭირო არარა იყო. ყველა „კაი ბიჭ ვიყავით... ჩვენი საზოგადოება ხელს გვისვამდა, მასწავლებლები არ წუნებდენ და არც ჩვენი უფროსი ნაგები—სტუდენტები—თაყვანობდენ მეგობრობას... და მივეჩვიეთ ამ ბრო რებს, ამ ზერელობას... ჩვენი თავი კაცებათ ჩავთვალეთ, მეცადინობას ღრმა მომზადებას ხელი ავალეთ, და ალ კი შეგვეძლო: ორგანიულათ შეგვძუ დიდი წიგნები და მათი კითხვა... სულ საერთწამო გვიზიდავდა, გვაინტ სებდა... მაგრამ... არც ეს დიგვცლია დ ხანს... გაცრუვდა იმედი და ამან კი აგვიცრუა გული სწავლაზე; სალი ნა გი სავსებით გამოგვეცალა... ბრო რებს თავი მივანებეთ და მათ ნაც შერლოკ ხოლმსს და ნატ პინკერტო დავეწაფეთ... გარშემო აღარაფერი ნ ლი აღარა სჩანდა, აღარავის საიმედო აღარ ისმოდა... სოფლად ცეცხლის და კვამლი, ქალაქში კვნესა და გმ ისმოდა... ჩვენ კი ამ დროს გიმნა გვათავებინებდნენ: იქნება ბოლოს მაი რამეს გახდენ, კაცებათ გამოვიდენო...

# პუბლიცისტური ესკიზები.

## ქალაქის სესხები.

რაც დრო მიდის, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ქუთაისს დიდი სესხის გარეშე ხსნა არა აქვს. ჩვენი მდორე ცხოვრება საჭიროა ძირეულათ შეიცვალოს, რომ სესხზე ფიქრი დავსტოვოთ. უნდა გაჩნდეს რაიმე დიდი სამრეწველო-სავაჭრო საქმეები გუბერნიაში ან თვით ქალაქმა ჩაიგდოს ხელში რაიმე შესამჩნევი, განსაკუთრებული წყარო შემოსავლისა ან მოხდეს ძირეული კანონმდებლობითი რეფორმა ქალაქის თვითმართველობისა, რომ დიდი ვალების აუღებლათ ქალაქის საქმეები რიგიანათ წარიმართოს. მაგრამ ყოველი ეს ცვლილება დღესდღეობით თუ საკვირველებით მოხდება, თვარა რეალური აწინდელი პირობები ამის იმედს არ გვაძლევენ. ამიტომაც რა საშუალებაც ხელთა გვაქვს, თუნდაც ეს საშუალება თავისთავათ არც ისე სანატრელი იყოს, ის უნდა გამოვიყენოთ, თუ ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობილებაზე იმედი სულ არ დაგვიწმენდია. ჰო და, ეს საშუალებაც სესხია.

წინათაც გვითქვამს, სესხის შიში ჩვენ ხმოსანთა შორის დიდია. თუ შემოსავლიან საქმისათვის სესხის აღებას რის ვაივაგლახით ეთანხმებიან, იმისთანა საქმეზე ვალის აღება, რომელიც შემოსავალს არ გვპირდება, მათ საზარალოთ, ქალაქის დამღუპველათ მიაჩნიათ. აი, სწორეთ ასეთი შეხედულება ჩვენ შემცდარ, ყალბ შეხედულებათ მიგვაჩნია და ამიტომ მცირეოდნათ შევჩერდებით მასზე.

საზოგადოთ მიღებულია, და ამას თავისი დიდი საფუძველიც აქვს, რომ სესხს ქალაქი პირველ ყოვლისა ისეთ საქმისათვის ღებულობს, რომლიდან შემოსავალს გამოელის. ამას შვრება იგი იმიტომ, რომ შეიძლოს თავნის დაქრობა და სარგებლის გასტუმრება, ხოლო ზოგჯერ მისი მოგება სხვა საქმეებსაც მოახმაროს. ასეთი სესხი, თავის-თავათ ცხადია, არა თუ არავითარ ტვირთად არ აწვება მსესხებელს—ქალაქს, არამედ ხანდახან დიდ სარფასაც წარმოადგენს მისთვის. დიდ ქალაქებში ზოგი ასეთი საქმე, ყოველ ხარჯს გარდა, მილიონებს აძლევს ქალაქის კასას.

მეორე კატეგორია საქმეთა, რომელთათვის ქალაქები დიდ სესხებს მიმართავენ ხოლმე, შენობების აგებაა სხვადასხვა დანიშნულებით (სკოლისათვის, საავათმყოფოსათვის და სხ.) აქ მსესხებელი ამ საზომით ხელმძღვანელობს: რა უფრო სარფაა, დაქირავებულ შენობაში იყოს მოთავსებული ეს თუ ის დაწესებულება, თუ საკუთარ შენობაში, რომელიც ნასესხები ფულით იქნება აგებული. აქაც თითქმის ყოველთვის სესხის სასარგებლოთ სწყდება საკითხი.

დასასრულ, ის დიდი სამეურნეო საქმეთა, რომელთაც პირდაპირი ფულით სარგებლობა ან სრულიად არ მოაქვთ ან ერთობ მცირე, რომელნიც ფინანსიური მხრით „უნაყოფო" საქმეებათ არის მონათლული, გახლავს აგრეწოდებული ქალაქის კეთილწყობილება. ეს არის: ქუჩების გაუმჯობესებული სისტემით მოწყობა, კანალიზაცია, ნაგვის საწვავი სადგური, ლაბორატორიები, სადეზინფექციო კამერები, პარკები, მთელი უბნების გაჯანმრთელება, და, საზოგადოთ, სანიტარული. ჰიგიენურ ზომების განხორციელება ხიდეები და სხ. და სხ. აი, ამისთანა საქმეებზე სესხის აღებას ჩვენი საზოგადოება, ხმოსნები ალმაცერათ უყურებენ. მიზეზი მათი შემოუსავლობაა: ეს საქმები სარგებელსა და თავნს თვით ვერ ისტუმრებენ.

მაგრამ თუ საკითხს უფრო ფართოდ დავხედავთ, ისე, როგორც მოწინავე ევროპა უცქერის, ჩვენ სრულიად სხვა დასკვნამდი მივალთ. იმიტომ, რომ ასეთ საქმეებს დიდი კულტურულ-სანიტარული მნიშვნელობა აქვთ, იმიტომ, რომ მთელი კეთილწყობილება და კეთილდღეობა თითქმის მარტო ასეთ საქმეთა განვითარებისაგან არის დამოკიდებული, ჩვენ ასეთ საქმეთა განხორციელება დიახ დიდათ საჭიროთ, დიდათ სასურველათ უნდა მიგვაჩნდეს. თუ გნებავთ, ვიწრო-მატერიალურ თვალსაზრისითაც რომ მივიდეთ ამ საკითხთან, მაშინაც კი ვერ უარვყოფთ, ზოგჯერ მაინც, ასეთ საქმეთა სარგებლობას და აუცილებლობას. თავის თავათ და პირველ შეხედვით სუფთა, კარგათ მოწყობილი ქუჩები, სადეზინფექციო კამერები, პარკები და სხ. თითქო მართლაც და „უნაყოფო", ნივთიერად „საზარალო" საქმეა, მაგრამ თუ მომავალის თვალით განვსჭვრიტეთ საგანი, ეს მართალი არ გახლავს. ის, რაც უნაყოფოა დღეს, მეტათ ნაყოფიერი გამოდგება ხვალ. როდესაც ქალაქი დიდ სისუფთავეს იცავს სხვადასხვა საშუალებით და სხვადასხვა სახით, განა ამით იგი არაპირდაპირ თავის კასას არაფერს მატებს? კეთილათ მოწყობილ, სანიტარიისა და ჰიგიენის მხრით მაღალ დონეზე მდგომმა ქალაქებმა არც კი იცის ეპიდემიური სენი—შავი ჭირი, ხოლერა და სხ.—და საზოგადოთ ხომ ასეთ ქალაქებში ავათმყოფთა რაოდენობა და სიკვდილის პროცენტი შედარებით ნაკლებია, ვიდრე იმ ქალაქებში, რომელნიც მსგავს კეთილწყობილებას მოკლებულია? და სადაც მეტი ავათმყოფია და მეტი სიკვდილი, იქ ხომ ქალაქი იძულებული ხდება მეტი ხარჯებიც გასწიოს?

დასავლეთმა ევროპამ კაი ხანია შეიგნო ეს უბრალო ჭეშმარიტება. მას კარგათ ესმის დიდი კულტურული მნიშვნელობა ქალაქების კეთილწყობილებისა. როდესაც იქ სესხს იღებენ ქალაქებისათვის, ასე არ მსჯელობენ—ეს საქმე დღესვე შემოგვიტანს შემოსავალს, ხოლო ის არაო.. იქ საჭიროებას, აუცილებლობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუ ერთ საქმეს თავისივე ხარჯების დაფარვა არ შეუძლია, მაგიერათ მეორეს ისეთ საქმეს აწარმოებენ, რომელიც თავის ხარჯებსაც უძლევება და კიდევ იმდენ მოგებას სტოვებს, რომ ამით ბევრი სხვა ხარჯებიც იფარვის. იქ არ ამბობენ—დიდი გძელვადიანი სესხები ქალაქისათვის დამღუპველიაო. იქ სრულიად სამართლიანათ მიაჩნიათ, რომ სესხის ტვირთს მომავალი თაობებიც ეწეოდენ, ვინაიდან ამა თუ იმ სიკეთით ხომ ისინიც სარგებლობენ.

მაშ, რატომ უნდა გვეშინოდეს დიდი გძელვადიანი სესხების აღებისა? თუ ქუჩებისათვის ვალი ავიღეთ ეს ჩვენი მხრით დიდი სირეგვნე დიდი წინდაუხედაობა რატომ იქნესა, ხოლო თუ შემოსავლის უხვი წყარო—წყალსადენი, განათება და სხ.—კონცესიონერს ხელში ჩავუგდეთ, ეს დიდი სიბრძნე იქნება? რაციონალ მუნიციპალურ პოლიტიკას ბევრი შეუძლია: ისიც შეუძლია, რომ შემ ვალი გაიჩინოს და ისიც, რომ ვალ ბის მძიმე ტვირთი არაფრათ დაიმჩნი ვისაც გონია, რომ ყოველი ეს თეო რიააო, ის ძალიან სცდება. თეორია გახლავს ის, რაც ცხოვრებამ უკვე ლად დაგვანახა.

მთელ დასავლეთ ევროპაში ისე გ თარებული, ისე მოწყობილი ყოვე რათ ქალაქები არსად არის, როგ ინგლისში. ინგლისელს ჩვენ ვერ სწავლით ვერც დამზოგველობას, ყაირათსა და საქმიანობას. აი, სწო ამ სახელმწიფოში სესხები შემოს ლიან საქმეებზე შეადგენენ ყველა 56 პროცენტს და სესხების დანარ 46 პროც. კი დახარჯულია შენობებსა ქალაქის კეთილწყობილებაზე ე. ი. მოსავლო საქმეებზე.

ჩამორჩენილ რუსეთსაც რომ მივ თოთ, რას ვხედავთ აქ? იმ ქალაქებ სადაც აღებული სესხებიდან უშემოსა საქმეებზე უფრო მეტია დახარჯული, რე სხვაგან, იქ კეთილწყობილებაც რო მეტია. პეტერბურგს, მაგ., შემოსა ლიან საქმეებზე დაუხარჯავს მხოლ 59 პროც. თავისი სესხებისა, ოდესა— პროც, ხოლო მოსკოვს—92 პროც. სწორედ ეს მოსკოვი კეთილწყობილებ მხრივ პირველ ორ ქალაქზე უფრო მორჩენილია. აღსანიშნავია, სხვათა შო რის, ის გარემოებაც, რომ არსად, რუ თის არც ერთ დიდ ქალაქში ისე არ გავრცელებული ბავშვების სიკვდილი, გორც მოსკოვში.

პეტერბურგის ქალაქის თვითმართ

თვიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „იმერეთის“ კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის დასაკვეთი ფული არ შემოუტანია, დღეიდან გაზეთის გზავნა ესპობა.

## ჰე, ნეტავი ბროლის ტბავ!..

მთის თხემით მოსხლეტილი მოხტის ანცი ანკარა,
სიცოცხლით აფეთქილი, ვითა ცელქი პატარა
ვერ ისვენებს, ნაპირებს პირს ზანს ეთამაშება,
გულს ჩაუკრავს ამ ქვეყნის სიხალისე და მშვენება!..
აქ რომ გამოივაკებს, იქ თავდაღმა ეშვება,
მაგრამ მაინც ვერ იპყრობს მწუხარება და ვნება!..
ვით სიცოცხლის ლანქერი, მოჩუხჩუხობს ლაღათა
ხან წარმტაცათ მოშხუის, ხან ლივლივობს წყნარათა.
ჰე, ნეტავი ბროლის ტბავ, მოციმციმე ანკარა,
მარად უდარდელობით შენს ზვირთებს დამადარა!—
შენთვის არ სუფევს ტანჯვა და არც ბოლმა-ნაღველი,
მე კი მოშხამული მაქვს სულის სასუფეველი!..

ბ. ზელაშვილი.

...ჩვენც გულგატეხილნი, იმედებ გაცრუებულნი და მაცადინობას გადაჩვეულნი ...უნივერსიტეტს მივაშურეთ... მივდიოდით ...ისე—ინერციით, უბრალო ცნობის ...მოყოფილებლათ... სამაცადინო უნარი კი სრულიად აღარა გვქონდა...—არც ...დაგხვედრიან მაშინ უკეთესები: ყველა ...ით გამოლეული იყო, ყველას უიმედობა ეტყობოდა, თითქოს ომში წასაყვანი ჯარის კაციაო... აღარავის ეცა... ახლებისათვის გზა ეჩვენებია და არც ...ახლები იყვენ მზათ ამ ახალ გზას დასდგომოდენ... წინა გზამ რა კეთილი დაუყარა მათ, რომ ახალი აერჩიათ!..

...ასე იმოქმედა წასულმა დრომ ჩვენ... მოზარდ თაობაზე; მაგრამ დროის ...ზეგავლენა მარტო ქართველ ახალ...ობას არ გაუვლია. ასევე დაემართა ...რუსეთის ახალგაზრდობასაც, რომ...ის გავლენის ქვეშ ყოველთვის ვიმ...ყოფებოდით.. სამაგიეროთ ამ დრომ, ...რომ „გამათავისუფლებელი დღეობისამ“ ...წასწია ფართო მასა, ხალხი... თუ ...ადრე სტუდენტობა იყო ბარომეტრი ...ცხოვრება-ვითარებისა, ახლა თვით ხალხი ...შეიქნა ასეთ ბარომეტრათ: სტუდენტობამ კი დაკარგა თავისი წინანდელი ჰეგემონია... დრომ სხვა ელემენტი აამოძრავა ...ეს ერთგვარ პროგრესსათაც უნდა ჩაითვალოს... ჩვენმა საზოგადოებამ კი ეს ...არ ჩათვალა. ის თითქოს მიჩვეული ...სტუდენტთა დირიჟორობას და, რომელსაც ამ დირიჟორის ჯოხს ვეღარ შე...—იყო მოთქმა და ტირილი: „არო..., დაილუპა საქართველო, ჩვენი სტუდენტობა აღარაფერს აკეთებს, მხოლოდ ...ფუქსავატობასა და ლოთობას მიყო ხე...“ მას ამბობდა და ამბობს ჩვენი ...საზოგადოება, უფრო მისი მოლიბერალო ინტელიგენცია და თვითონ კი, ვკითხოთ: რას აკეთებდა და აკეთებს იგი?.. ...ამასვე, რასაც მათი შვილნი, სტუდენტობა, აკეთებდა და აკეთებს... აქ უნდა ..., რომ შვილებიც იმას აკეთებენ, ...რაც მათი მშობლები მეთქი, მაგრამ ...დების შეცვლით, მგონია, ფაქტი ...შეცვლება..· რა სენითაც ჩვენი აღ...ლები იყვენ და არიან შეპყრობილი ...მავე სენით ვართ ჩვენც ავათ... ტყვი... კი არ ამბობს ჩვენი ანდაზა: „ესაია ...ტიშვილი, რაცა მამა იგი შვილი“-ო... ...ლები თუ ვხედავდით და ვხედავთ ...ჩვენი საზოგადოების კარ ჩაკეტილობას, ...მანეთის ჭამიობას, პიროვნების აბუ...გდებას და უზომო ინტრიგებს— ...ჩვენც ამ თვისებებს არ ვთაკილობდით და ...რაც კიდევ არ ვთაკილობთ... ეს სენი ...დაიტანეთ უნივერსიტეტში და მით ...მშობლების მემკვიდრეობა გავიმტკიცეთ... ...ეს მემკვიდრეობა კიდევ სხვა არა და...მეთ ჩვენს მხარეებშიც იხატება... მა...ლითად: სულის სისუსტე, სიბეცე, სი...ე, დაუკვირებლობა ჩვენც ისე უკან

დაგვდევს, როგორც ჩვენ ძვირფასს მშობლებს. მიზეზი ამისა კი, როგორც ბ. მოსული ბძანებს გაზ. „თემში,“ ჩვენს უკულტურობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ ახლა ვქმნით ამ კულტურას და მის შექმნაში ჩვენ თითქოს წავასწარით ჩვენს თავს და ამან კი მოგვღალა, მოგვქანცა, ნევრასტენიკათ გაგვხადა...

ჩვენი სტუდენტობა ღვიძლი შვილია თვისი მშობლების და მშვენიერი ნაყოფია დროისა და პირობების... და ამიტომ, ჩემის აზრით, ჩვენს საზოგადოებას არა აქვს არავითარი უფლება უკიჟინოს ჩვენს სტუდენტობას არარაობა, ფუქსავატობა... კერძოთ კი—თვით სტუდენტები არ უნდა კადრულობდენ თავის ამხანაგებზე მხოლოდ ცუდი ამბების წერას, მიუხედავათ ამ წერის ფორმისა...

მე ვფიქრობ და, დიე, ეს მაპატიონ ამხანაგებმა,—ასეთი წერა უფრო კერძოთ თავის თავის ამაღლებაზეა დამყარებული ვიდრე სხვა რამე კეთილ აზრებზე... მით უმეტეს, რომ ჩვენი საზოგადოების მეთაურები მზათ არიან ერთ გამოგზავნილ კორესპონდენციისათვის მის გამომგზავნელს შეგნებული და საიმედო სტუდენტის დიპლომი მიართვან... და წარმოდგენილი მაქვს, თუ ეს რა სასიამოთ უღიტინებს გულში მისს მიმღებს... სტუდენტისაგან სტუდენტების დამცირებას, ე. ი. საკუთარი თავის დამცირებას, სხვა ცუდი შედეგებიც თან სდევს. ჩემი ღრმა რწმენით: სჯობია, კაცი ისევ თავის თავის განდიდების სენით იყოს შეპყრობილი, ვიდრე დამცირებით. დიდათ შესაწყნარებელი ამ ორ თვისებაში არც ერთი მოსაწონი და მისაღები არაა, მაგრამ კიდევ მეორე სჯობს. დაიმცირებ, გაილანძღავ თავს და ყველას თამამად შეუძლია წაგკრას ხელი, მიწასთან გაგასწოროს?!..

მაგრამ დავანებოთ ყველა ამას თავი და პაწია ხანს ჩვენი ხალხის თვალით შევხედოთ ამ ჩვენი სტუდენტობის ლანძღვაგინებას, გაბათილებას... ხალხს რუსეთიდან ქართველ სტუდენტთა შესახებ მხოლოდ ცუდი ხმები ესმის, ამასვე განუმარტავენ მას ჩვენი გაზეთების ფურცლები და თეატრები... ყველგან ცუდი, ყველგან გინება... თუ მართლა ეს ასეა, ფიქრობს ხალხი: აქ რომ დიპლომიანები ჩამოდიან ხომ გვატყუებენ, ხომ არაფერი იციან და, მაშ, მათ რაღათ მივმართოთ... განა იმათზე ნაკლებათ გვიაქიმებენ ჩვენი „აქიმბაშები“; განა იმათზე ნაკლებათ გვირჩევენ საქმეს ჩვენი მოსე მწერლები; იმათზე ნაკლებათ ასწავლიან ჩვენ შვილებს ჩვენი დიაკვნები?!. და სხვადასხვა... და ამნაირათ ჩვენს ჩუჩუნს სტუდენტთა დაქვეითების შესახებ შეუძლია ხალხი უფსკრულამდი მიიყვანოს, თავისებურათ, ძველებურათ აცხოვროს...

დიახ, თუ კაცს და მით უმეტეს ხალხს წინასწარი ცუდი აზრი დაებადა ვისმე ან რასმე შესახებ გადაჯერება ძნელია...

ამ უკანასკნელ დროს ჩვენ სტუდენტობას გამოფხიზლება დაეტყო. თითქმის ყველა უნივერსიტეტში შესდგა წრეები, სადაც ჩუმსა და უხილავს მუშაობას ეწევიან... და მრწამს, რომ ეს ჩუმი და უხილავი მუშაობა დიად და ნათელ საქმეთ გადაიქცევა... გაღვივდება ნაპერწკალი, გახურდება გრდემლი და ერთგული მჭედელიც აქ ჩამოასხამს იმ ბასრ ნეშტარს, რომლითაც შეიმუსრება კეთილი საქმის სამარის მთხრელი... საჭიროა მხოლოდ—მამები არ ჩამორჩენ შვილებს და ჩვენებურათ, ქართველურად გაამხნევონ და მათ გვერდში ამოუდგენ.

ალ. ლოლაძე.

## საზოგადოების საყურადღებოთ.

ყველას მოეხსენება, რომ მშრომელ და საზოგადო საქმეებით დაინტერესებული ადამიანი ძვირათ ღირს. თუ ვინცობაა, ასეთ პირს რამე უბედურება შეემთხვა, საზოგადოება ზნეობრივათ ვალდებულია შეძლებისდაგვარათ დახმარება ამოუჩინოს. ასოთ ამწყობი დათიკო ლოლობერიძე მუდამ დაინტერესებული იყო სახალხო საქმით და შეძლებისდაგვარათ შექონდა თავისი წვლილი. მუდამ დაინტერესებული იყო ცოდნის შეძენით. დრო გამოშვებით ქართულ გაზეთებში ათავსებდა თავის შენიშვნებს „დონ-ლანი“-ს ფსევდონიმით. დღეს იგი ნევრებით დაავათმყოფდა. აქიმების სიტყვით შეიძლებოდა მისი მორჩენა, თუ თფილისში წაიყვანდენ და იქ უაქიმებდენ, მაგრამ მთელი ოჯახის ბედ- იღბალი მასზე იყო დამოკიდებული და ამ ჟამათ ეს ოჯახიც აუწერელ გაჭირვებაშია. კეთილი საქმე იქნება თუ, საზოგადოება გაითვალისწინებს ამ გარემოებას და რაიმე დახმარებას აღმოუჩენს ამ საწყალ ადამიანს. ადგილობრივი რედაქციებიც, იმედია, არ დაიზარებენ ქველმოქმედთა შემოწირულობის მიღებას.

პატივისცემით: სერგო გერსამია, გრიგოლ ბაქრაძე გიორგი ასათიანი.

## პროფესორი ვ. რამზეის აღმოჩენის გამო.

დეპეშებმა და სატახტო გაზეთებმა გვამცნეს, რომ ცნობილმა პროფესორმა ვ. რამზეიმ წყალბადიდან მიიღო ორი როტული ელემენტი გელიი და ნეონი. ამ საგულისხმო აღმოჩენას აქვს მნიშვნელობა, არამც თუ მეცნიერული, არამედ საზოგადოებრივი. რაც დრო გადის ძველი თეორიები თანდათან იმხობა, ის რაც ამ ათი წლის წინათ ქიმიის ქვაკუთხედათ ითვლებოდა დღეს ირღვევა და მასთან ერთად გვშორდებიან ის მეცნიერნი, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით, რომელიმე თეორიის შექმნისთვის. თუ ელემენტების ცვალებადობა. ცვლილება დღემდე შეუძლებლათ მიგვაჩდა, დღეს ვ. რამზეის აღმოჩენის შემდეგ, ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ ადამიანის გონებისთვის შეუძლებელი არა არის რა, საჭიროა, მხოლოდ, ზოგიერთი საშვალების გაუმჯობესობა, რომ შეუძლებელი შესაძლებლათ შეიქნეს.

ამ უკანასკნელ დროში სუფევდა მოსაზრება, რომ წყალ-ბადი, ელექტრონის ძალის ზეგავლენით, ქრებოდა, გადადიოდა სხვა ფორმაში; დღეს კი ვილიამ რაზმეის აღმოჩენის შემდეგ, ცხადია, რომ ეს ფორმა ელეკენტები ყოფილა—გელიი და ნეონი, ყველაზე საგულისხმოა ამ აღმოჩენაში საშვალება, რომლისთვის ვ. რაზმეის მიუმართავს, ე. ი. ელექტრონის ძალა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწდომია და მსურველებს ცნობილი პროფესორის აღმოჩენის შემწეობას უადვილებს. ამ სახით ის არ გავს რადიის ემანაციის საშუალებით ელემენდ სპილენძიდან ელემენტ ნატრიის და ლიტიის მიღებას, (ეს აღმოჩენა იგივე პროფესორს), რომლის ექსპერიმენტი ერთობ ძვირი ჯდებოდა ამის გამო დანამდვილებით ვერ გამოუკვლევიათ.

ვიმედოვნებთ, რომ ცნობილი პროფესორი ახლო მომავალში მოგვაწვდის დაწვრილებით ცნობებს თავისი ექსპერიმენტისას.

ი. ტყეშელაშვილი

...ობას ეს არის დართეს ნება მერვე სა...იგაციო 66 მილიონის სესხის გამო...სა. ამ საერთო ჯამიდან მხოლოდ 40 ...ონზე ცოტა მეტი გადადებულია ისეთ ...როებათა განსახორციელებლათ, რო...აც შემოსავალი მოაქვთ. სხვა კი ...ყოფო“ ხარჯებია. მთელი მილიონე...დანიშნული ხიდეების, საავამყოფოე...დამის თავშესაფართა, ნაგვის სადგუ... და სხვ. ასაგებათ.

...გორ გგონიათ, რისი იმედი აქვს ...ქის თვითმართველობას, როდესაც „უვუნურ, უნაყოფო“ ხარჯებს ეწე...სესხები ფულით? ხიდეები, თავშეს...ები და სხვ. ხომ არაფერს მისცემს ...მისი იმედი ერთის მხრით კეთილწყო...ების წარმატებაა, კულტურული ცხოვ...ის წინ წაწევაა და მეორეს მხრით ის ...შემოსავლიანი მუნიციპალური საქ..., რომელთა წარმოებას კეთილგონი...პოლიტიკა კონცესიონერებს ხელში ...ებს. თუ ერთ საქმეზე დაუბრუნე...ხარჯებს ეწევიან, მაგიერათ მეორე ...იმდენათ შველის, რომ თავის თავ...ინახავს და სხვა საქმის ზარალსაც ...ვს.

...რც ერთი ქალაქი, რაც უნდა ღარი...ყოს იგი, თუ მას წინსვლა მიზნათ ...ვია, ხელს ვერ აიღებს ისეთ საქმებ...რომელსაც შემოსავალი ან სრულიად ...მოაქვს ან მხოლოდ მცირეოდენი. ...ვერ იტყვის ასეთ საქმეებზე იმიტომ, ...თვით ცხოვრება უკარნახებს ქალა...მოლვაწეებს მათ აუცილებელ საჭი...ებას. ხოლო იმავე დროს ვერც ერთი ...აქი თანამედროვე პირობებში, რუსეთ...მაინც, უსესხოთ ასეთ საქმეებს ვერ განახორციელებს. მართალია, ასეთი სესხები, პირველ ხანებში მაინც, სამძიმარია, მაგრამ ამ ტვირთის შესამსუბუქებელი საშუალებაც ხომ კი არის, აკი მოგახსენეთ. იმის მტკიცება, რომ სხვაგან ერთია და ჩვენში კი სხვაო,—ეს ამ შემთხვევაში მოსატანი არ არის. ქუთაისს ახლო მომავალში არაფერი უღიმის, არაფერი შესცვლის მის უძრავ, უსიცოცხლო არსებობას. მაშ რა გამოსავალი გვაქვს, რომ ჩვენ ასეთ უმწეო ყოფა-მდგომარეობას ცოტათ მაინც თავი დავაღწიოთ? რისი იმედი გვაქვს? გვიბძანეთ, თუ გაქვთ რაიმე საშუალება და ჩვენც თქვენთანა ვართ. მუდამ რომ ვჩივით—ქუჩები არ გვივარგაო, უსუფთაობაში ვიხრჩობითო და სხ. და სხ. ნეტავ სხვა ვინ გაიგონებს ჩვენ მუდარას, თუ თვითონ ჩვენ თავს ჩვენვე არ მივეშველეთ? ვალებს ნუ მივმართავთ, თუ რაიმე სხვა გზა მოგვეპოება. სესხი, რა თქმა უნდა, გაჭირვებისაა, მაგრამ ჩვენს პირობებში დღესდღეობით ჩვენ სხვა გზა არ ვიცით. ორში ერთი უნდა ვქნათ—ან ქალაქის კეთილმოწყობილებაზე, გაუმჯობესობაზე ხელი ავიღოთ, ან არა. პირველს ვერ ვიზამთ, ხოლო მეორესათვის სხვა სახსარი არა გვაქვს გარეშე სესხისა. რამდენიც არ უნდა ვიწრიალოთ, ბოლოს მაინც ამ გზას დავადგებით, და თუ ასეა, დაყოვნებას არა სჯობს ბარემ დროით შევუდგეთ საქმეს?

გრ. გველესიანი.

# სახელმწიფო სათათბირო.

თავჯდომარეობს როძიანკო. ახლად შემოტანილ საქმეებს შორის კადეტების განცხადებაა მთავრობის მიმართ იმის თაობაზე, თუ როდის იქნება კანონპროექტი და განხორციელდება ერობა და თვითმართველობა ციმბირშიო, აგრეთვე 1912 წ. უმოსავლობის შედეგი რა იყო და რა ზომებს ღებულობს მთავრობა დაზარალებულთა დასახმარებლათო. მიიღეს ესდეკების წინადადება, რომ მუშათა საკითხის შესახებ განსაკუთრებითი კომისია მოაწყონ.

შემდეგ სათათბირო მინისტრის განმარტების განხილვას განაგძობს. მემარჯვენეების აზრით მინისტრის მოქმედება გასაგებია მთელი რუსეთისათვის და ამ ნიადაგიდან მინისტრს ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ გადაახვევიებენ. ძლიერი რუსეთისათვის რევოლუციონერები საშიში არ არის, ხოლო ამ რუსეთისათვის საშიში იგია, რომ ბავშებს სოციალიზმით რყვნიან.

ლვოვი მეორე აცხადებს: ცენტრის ჯგუფში განსაკუთრებითი პირობების დროს შესაძლებლათ მიაჩნია, რომ პოლიცია შევიდეს საშვალო სასწავლებელში, მაგრამ ამ შემთხვევაში უკიდურეს პირობებს არ ვხედავთ, ამიტომ სასწავლებლის მთავრობას შეეძლო—მოწაფეებს საკუთარი ზომებით გაასწორებდაო. სასწავლებლის მთავრობა მოწაფისათვის სასწავლებლის ფარგლებში ერთად ერთ სახელმწიფო მთავრობა უნდა იყოს.

ცენტრის ჯგუფი შემდეგ ფორმულას იძლევა: შეუძლებლათ მიგვაჩნია სასწავლებლის კედლებში არალეგარული წრეების, აკრძალული ორგანიზაციისა და პოლიტიკური პროპაგანდის არსებობა, მაგრამ იმედი გვაქვს მომავალში სასწავლებლის მთავრობა წინდაწინვე მიიღებს ზომებს ამის წინაალმდეგ, ასეთი ბოროტმოქმედების მოსპობას შესძლებს საკუთარი პედაგოგიური ზომებით და მოწაფეებზე ენერგიული ზეგავლენით. სათათბირო მორიგ საქმეებზე გადადის.

# დეპეშები.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთში.

სოფია. გაზეთი „მირი“ სრულიად სარწმუნო წყაროებით ამტკიცებს, რომ ბულგარეთ-რუმინიას შორის მეგობრული დამოკიდებულების აღდგენის იმედები უფროდაუფრო მატულობს და მშვიდობიანობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არც ისე შეუძლებელია, როგორც გონიათო.

ბუქარესტი. სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან: ოფიციალურ წრეებში ჯარის უმოქმედობას ცუდ ამინდებს აწერენ თუმცა ხმებიც გავრცელდა—ბულგარელებმა ბულაირის ფორტები აიღესო. ენვერ-ბეი ნალმოსანი გემით მეწამული ზღვისკენ წავიდა, რომ მარჯვე დრო ნახოს და როდოსტოში გადასხდეს.

საზღვარგარეთი.

პარიზი. სანამ ელისეს სასახლეში დაბრუნდებოდა პუანკარემ აფრთოვანებული ხალხის ზეიმითა და ბრიანის თანხლებით ფალიერი ფრანცისკო პირველის ქუჩამდი გააცილა. საღამოს ელისეს სასახლეში შეიკრიბენ მინისტრები და ბრიანმა პრეზიდენტს კაბინეტის დათხოვნის ქაღალდი გადასცა. პუანკარემ სთხოვა მინისტრებს—თქვენ-თქვენს ადგილზე დარჩითო და დეკრეტს ხელი მოაწერა, რომლის ძალითაც ისინი მათ ადგილებზე დაამტკიცა.

პუანკარემ მისალოცი დეპეში მიიღო იტალიის, ბელგიის, დანიის, ნორვეგიის და შვეციის მეფეებისგან და ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტისგან. რუსეთის ხელმწიფის დეპეშში შემდეგი სწერია: უმაღლესი მოვალეობის მიღებისა და საფრანგეთის ერის შენდამი უმაღლესი ნდობის გამოცხადების წამს, მწადია განვაახლო ჩემი გულითადი რწმენა შენდამი. ყველამ კარგათ იცის თუ რა მნიშვნელობას ვაძლევთ რუსეთ-საფრანგეთ შორის არსებულ მტკიცე კავშირს. ამიტომ გვწამს რომ ამ კავშირს კიდევ უფრო განამტკიცებთ და ააყვავებთ, რისთვისაც გულითად და წრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ.

მექსიკო. მადერო და მისი მინისტრები დაატუსაღეს დროებითი პრეზიდენტათ უერტა გამოაცხადეს.

ვაშინგტონი. იდაფეტის „ვეტოს“ მიუხედავათ სენატმა მიიღო ბილი, რომლის ძალით უსწავლელ ემიგრანტებს ჩრდილო-ამერიკაში გადასვლა აეკრძალებათ.

რ უ ს ე თ ი.

ჩიტა. საღამოს 8 ს. ვიღაც უცნობი ბოროტგამზრახველები თავს დაესხენ აღმოსავლეთ ციმბირის მე 13 პოლკის როტის კამანდირის ბინას და კამანდირი რედერი და მისი მოსამსახურე დასჭრეს. ფიქრობენ, ბოროტ მოქმედება შურის ძიების ნიადაგზე მოხდაო. ექვით დააპატიმრეს 5 ჩინელი და 2 რუსი.

## ცრუ კორესპონდენტი.

გასული იანვრის 25-ს, გაზ. „მერცხალში“ ამოვიკითხე ჩემზე უცნაური ცილისწამება, ვითომც მე—ვლადიმერ წერეთელს აფიშებით გამომეცხადებიოს: სინემოტოგრაფში, ჭიათურაში, ვაჩვენებთ ჭიდაობას, იჭიდავებენ ყოფილი დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი და დეპუტატი გელოვანიო. წერეთელმა ბილეთები გაყიდა და დანიშნულ დროს ხალხს გამოუცხადა—ჭიდაობა არ შედგა, რადგან მთავრობამ ამის ნება არ მოგვცაო. შანტაჟიც ამას ქვიაო.

ამავე გაზეთმა 31 იანვარს დასწერა, რომ, როგორც გამოირკვა, რედაქცია შეცთომაში შეიყვანა კორესპოდენტმაო, ნამდვილათ ამის მზგავსი არაფერი არ მომხდარა და ამ შეცთომის გამო მწუხარებას გამოსთქვამსო.

საქმე ასე ყოფილა. მართლაც, იანვრის 19—20-ში ჭიათურას მისულა ჩემს ელექტრო-თეატრში ვინმე ალექსანდრე გეგეჭკორი, შეთანხმებია თეატრის მართველს, მოუტანია თავის აფიშები და თვითონვე გაუკრავს დანიშნულ ადგილებზე. აფიშაზე აწერია: „შახ პერსიცკიდან დაჯილდოებული ცნობილი და გამოჩენილი ღონიერი 18 წლის ლომ-გმირი, ალექსანდრე ბახვას-ძე გეგეჭკორი, მეტათ საინტერესოს, ჯერ თქვენთვის უნახავს,

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფა...
რისა და ფაიანსის ჭურჭლეული. საუცხოო ...
ლისა და მინის საქონელი. საუკეთესო ...
ვარშავიდან და სამფეზარვარებიდან, ...
ემალ გამოვლებული. ჭურჭლეული თეთრი ...
მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყვავილები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოთი ... საქონელი. ... მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ... ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საორგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მო... ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და სამკერვალო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ... თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. **ფასები მეტად დაკლებულია.**

სავაჭრო სახლი ბოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში

# ხ. ხრისტადულიდის

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი სახელი განთქ...
**აბრეშუმის თესლის**
(რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდნენ). ამით **ატყობს** მეაბრეშუმეებს ... თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემთ) ნაღდ ფულ... არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექვს მისხლიან კოლოფისა თესლი მიეცემათ: 1 მარ... დის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჟბატონებს მადა გაუღვიძა და მდარე ღირსების თესლის ყუთებზე ... გაზეთები ,,ზაკავკ. რ.'', ,,სახ. გაზ.'', ,,ბათ. სიმართლე'' და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადნენ. შესაძლოა ზემო-აღნიშნული ბოროტება წელსაც განმეორდეს. თესლის ... ნის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს“ და ,,შტემპელს'', აგრეთვე შეეცადეთ თესლი სამედო პირთაგან შეიძინოთ.

წარმოადგენს“ აი, ეს აფიშა გახლავთ გადამახინჯებული მახინჯი კორესპონდენტისაგან, რომელსაც პატივცემული დეპუტატები სამასხაროთ გამოყავს, მე შანტაჟისტს მეძახის.

მკითხველი ადვილათ დაინახავს—ვისი მხრითაა აქ შანტაჟი. შეიძლება, თქვენ, სიმართლის მქადაგებელო კორესპონდენტო, ერთი რომელიმე დეპუტატის შეურაცხყოფა გინდათ, მეორეს რაღას ერჩოდით? რათ მიაწოდეთ ეს სიცრუით აჭრელებული ამბავი თქვენ მიერ პატივცემულ რედაქციას? ჩემდათავად ამ რედაქციისა კმაყოფილი და მადლიერიც ვრჩები, რადგან სიმართლე და სინანული საზოგადოთ აღიარა და ვურჩევ თქვენებრი ყალბი კორესპონდენტების ცნობას სიფრთხილით მოეპყრას, რომ თავისიანებშიც ნდობა არ დაკარგოს*).

**ვლ. ჯ. წერეთელი.**

# ოდიში.

**სოფ. ნაესაკოვი.** 5 იანვარს მოხდა საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური საზოგადო კრება. კრებას უნდა განეხილა წლიური ანგარიშები; აგრეთვე ასარჩევი იყო გამგეობისა და საბჭოს წევრები და აგრეთვე უნდა ემსჯელა კოოპერატიული დუქნის გახსნაზე. კრებამ ყველა საკითხები გადადვა შემდეგისათვის და მხოლოდ სავაჭროს გახსნაზე შეიქნა მსჯელობა. ამხანაგობის გამგეობის ყველა წევრმა ცალცალკე სიტყვით მიმართა კრებას და ურჩევდენ—ჩაწერილიყვნენ წევრებათ აბაშის მომხმარებელ საზოგადოება „ანგარიში“ და მათი სახელით გავხსნათ ეს სავაჭრო. გამგეობას ყავდა მოწვეული აბაშის მომხ. საზოგ. „ანგარიშის“ მდივანი ბ. პლატონ ლეჟავა, რომელმაც კრებას აუხსნა სარგებლობა სავაჭროს დაარსებისა და მომხმარებელთა აუტანელი მდგომარეობა ვაჭრების ხელში.

კრებამ ერთხმად დაადგინა, ჩავეწეროთ ყველა აბაშის საზოგადოებაში და გაიხსნას აბაშის საზოგადოების განყოფილება სოფ. ნაესაკოვში. აგრეთვე ზომები მიიღონ, რომ საწევრო და საპაიო ფული დროზე იქნეს შეტანილი.

აღსანიშნავია, რომ ოდიშში ძლიერ მოიდგა ფეხი კოოპერატიულმა მოძრაობამ. ვერ ნახავთ შეკრებულებას, რომ კოოპერაციის შესახებ არ ლაპარაკობდენ და არ ცდილობდენ მოწყობას კოოპერატიული დუქნისას. საჭიროა, ყურადღება მიაქციონ სოფლელებს და გზა უჩვენონ, რომ ნამდვილ საფუძვლიანათ დაიწყონ საქმე.

ნესაკოველი,

## წერილები რედაქციის მიმართ.

1.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: გაზ. „ჩვენი დროება“-ს 29 ნუმერში მოთავსებულია ჩემს საწინააღმდეგოთ წერილი ვინმე ანკესისა. ვწუხვარ, რადგან პატივცემულ რედაქციას, ვერ გაუგია, რომ ყოველივე თქმული ჩემსა და ქუთ. ბიბლიოთეკის წინააღმდეგ კერძო ინტერესების ნაყოფია. რედაქციას არ უნდა გამორჩენოდა იმ გაზეთების გადათვალიერება სადაც ნათლად სჩანს, თუ როგორც არის საქმე, და თავსაც ვერ გაიმართლებს, რადგან რედაქცია მოვალეა თვალ-ყური ადევნოს ყოველივეს პრესაში. აქ რომ კერძო ინტერესებია, იმათაც უნდა მიმხვდარიყო რედაქცია, რომ თუ კორესპონდენტს კარგათ ქონებოდა საქმე თფილისში არ გაიქცევოდა, რადგან სიმართლისთვის არცერთი ადგილობრივი რედაქცია უარს არ ეტყოდა და მეორეც, გაღება—დახურვა რომელიმე დაწესებულებისა იმათი გადაწყვეტილებით, ხდება ვინც პატრონობს ამა თუ იმ დაწესებულებას და არა დაქირავებული მუშის ნებით. ჩემს აქ მოსვლამდი არც დილაობით იღებოდა კვირაუქმეობით სამკითხველო, მხოლოდ დაუგველ ზალაში გაზეთებს თუ გადაათვალიერებდა კაცი. მაშინ სად ბძანდებოდა ბ. ანკესი? მე არ ვაქცევ ყურადღებას იმას, თუ რასაც იტყვიან ანკესი და ძმანნი მისნი, რადგან კარგათ ვიცი, ვინც ბძანდებიან, მხოლოდ არ შემიძლია ჩემი გულის წყრომა არ გამოუცხადო იმ ორგანოს, რომელიც სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს და ანგარიშ გაუწევლად ადგილს აძლევს ასეთ წერილს. ვთხოვ „ჩვენი დროების“ რედაქციას, გამომყვეს სამედიატორო სამართალში და დამიმტკიცოს, რამდენათ მართალია ის წერილის შინაარსი, თუ არა და ბოდიში მოიხადოს ასეთი წერილის დაბეჭდვისთვის.-

ქუთ. ბიბ. გამგე **შელ. ლორიას ასული.**

2.

ბ. რედაქტორო გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ნება მომცეთ, უღრმესი მადლობა შევწირო იმ პირთ, რომელთაც ქუთაისის საკრებულო ტაძრის გასაშვენებლათ შემოსწირეს ას თორმეტი მანეთი. სია შემომწირველთა: სპირდონ ჩითაევმა—25 მ.; ფ. ახობაძემ 10 მან.; ა. წაქაძემ—5 მ., ელენე შავგულიძისამ 5 მ. სამ-სამი მანეთი:—მანუჩარ გაბუნიამ, ივანე კერესელიძემ, რომანოზ ქოხონელიძემ, სპირიდონ ლომიძემ; ორ-ორი მანეთი: ალექს. ელიზმაროვმა, გარსევან შარაშიძემ, ნესტორ №, ივ. სურგულეძემ, ბესარიონ ბოკუჩავამ, ზაქარია მაისურაძემ, ივ. ბარამაძემ; თითო მანეთი: ივ. ვარდეევმა, გიორგი შიუკაშვილმა, ფიდო ვარლამოვმა, ნ. სუმბაძემ, ილ. ჩიხვარიამ, მელქ. გოცირიძემ, ანდ. ქლენტმა, ნ. ჩიტალაძემ, ნიკოლი შიუკაშვილმა, სიკო აბლაძემ, ალ. კორშუნოვმა, პასილ გოცირიძემ, ნინიფ. კონტრიძემ, სანდრო კერესელიძემ, მინა დვალმა, სევ. გამყრელიძემ; სოლ. კერესელიძემ, ბარამ გოცირიძემ, ლავრ. ხიდურელმა, ვას. ხიდეშელმა, ანდრ. საჯიამ, მანუჩ. გუგუშვილმა, ვანო გოგიჩაშვილმა, ილ. ცაგარელმა, რომ. მეგრელიშვილმა, დათ. ხახუტაშვილმა, ნესტ. კერესელიძემ, გ. შიუკაშვილმა, ნიკ. სუმბაძემ. ფიდო ვარდაშაშვილმა, ალექსა მამუკელაშვილმა, სიკო. სუხიტაშვილმა, ნიკ. ბიწვინაშვილმა, კოტე ბადურაშვილმა, არტემ ხითაროვმა; ათ-ათი შაური: გ. კანანდაძემ, სერ, ბერახალაშვილმა, აპ. დვალმა, მიხ. სხირტლაძემ, სარდ. მაისურაძემ, მალაქია გოცირიძემ, არს. აფხასუამ, კიმ. ხამასურაძემ, პიმ. გოცირიძემ, გიორგი გოგიბერიამ, სამ. ქილიფთარიამ, ლევ. ჩალაძემ, იას. ლომჯიანიძემ, ხუთ ხუთი შაური: თეოფ. ჩიგოგიძემ, ტარასი ყიფიანმა.

წინამძღვარი ქ. საკრ. ტაძრისა

დეკ. **ი. ჭეიშვილი.**

---

რედაქტორ გამომცემელი
ვ. ე. ჭელიძე

---

40 ДНЕЙ

4 О Д Н Е Й

БЕЗПЛАТНО!

Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски и латински по нашимъ самоучителямъ составленнымъ по новѣйшему методу [все другіе—реклама] деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоут. одного языка съ пересилкой наложеннымъ платежомъ 1 р. 10 к. 2-хъ—1 р. 90 к. 3-хъ—2 р. 80 к. 4-хъ—3 р. 15 к. Заказы исполняются един. складомъ для всей Россіи. С.-Петербургъ Петерб. сторона Большой пр. 56—583. 2129 Я. К. ПЕТЕРСЪ.

БЕЗПЛАТНО

40 ДНЕЙ

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ.

Полный курсъ лекцій для самообученія „скоромный и постный столъ“, около 1000 рецептевъ кушаніи, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ, пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цѣна съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правиль. но вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и питательные обѣда съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ Пет. стор. Большой просп. № 56—255.—584.

ПО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ!

ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 р. за 7 р. 50 к.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 10 р.

15 ТОМОВЪ полнаго сборанія около 5,000 страницъ большого формата СОЧИНЕНІЙ

# ГЮИ де-МОПАССАНА

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ. но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы И. С. Тургенева и Льва Толстого, чтобы судить о томъ высокомъ положеніи. кокое Гюи де-Мопасанъ занялъ въ исторіи всемірной литературы. Памятиикъ воздвигнутый ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременно болѣе 300 изданій въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и переведены на языки всѣхъ народовъ. Сочинонія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правдивой дѣйствительности. Книги высылаются наложеннымъ платежмъ; пересылка ва счетъ покупателя по почтовому тарифу, упаковка безплатно.

Задатокъ въ размѣрѣ 2 р. 50 к. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не вѣполняются.

Единственный складъ для всей Россіи: С.-Петербургъ, Петерб. Сторона, Большой пр., 5—61. Я. К. ПЕТЕРСЪ.

# გ. გორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისაგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ. ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.



ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

# ნ. ს. ტერპი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

**ნავთის—კალილო ლამპები და ფარნები, 75°/o იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელი.**

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეულია.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები



მეტ...



ფეჩი.

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამო-დის ყოველდღიური საპოლიტ... და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნ... ხევარი წლ.—3 მ., ერთი თვით— 3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ც... კე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2...

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, ... ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გო... ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, ... ვით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კას... ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშ... გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядо... съ редакц. газ. ,,Закавказская Рѣчь''. Телефонъ №—12—48. Д... телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი ) ერ. დ. გორდელაძე ) მ. გაჩეჩილაძე.

მიიღება ხელის-მოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნა...

# „კლდე“-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთო... ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლებ... როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახ... შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10...

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წ... 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.

**განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.**

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

---

*) ბ-მა ვლ. წერეთელმა ამასთანავე წარმოადგინა რედაქციაში ალექსანდრე გეგეჭკორის აფიშაც.